

საქართველოს ენერგორესურსები

ბადრი ჩხაიძე

შესავალი

გადიუქარბებულად შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ენერგეტიკის განვითარებასთან. ენერგეტიკული რესურსების სიუხვე თუ დეფიციტი განსაზღვრავდა გლობალურ პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებს. კაცობრიობის ისტორიაში ომები ძირითადად წარმოებდა ენერგეტიკული რესურსებისათვის და XX საუკუნის ბოლოს, როდესაც დღის წესრიგში დადგა ნავთობისა და სხვა ნიადაგის ხაზობის ამონურვის საკითხი, ენერგეტიკული რესურსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე უმნიშვნელო ქვეყანა თავის ენერგეტიკას და ენერგეტიკულ პოლიტიკას ძირითადად აგებს საკუთარი ენერგეტიკული რესურსების გათვალისწინებით. ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი სტრატეგიის შემუშავებისას გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია თვით ქვეყნის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგია. ყველა დასარჩენ ფაქტორთან ერთად გასათვალისწინებელია აგრეთვე გარემოს დაცვის ფაქტორიც, რომელსაც ბოლო წლებამდე სერიოზულად არ განიხილავდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენერგეტიკა და ენერგორესურსების გამოყენება უდიდეს ზეგავლენას ახდენს გარემოზე, რის გამოც ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი განვითარების სტრატეგიის შემუშავების დროს უმნიშვნელოვანესი როლი უნდა მიენიჭოს გარემოს დაცვის საკითხებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ენერგეტიკა მნიშვნელოვანი სიძველეების ნინაშე დადგა, რადგანაც მას არ გააჩნდა არც ენერგეტიკის განვითარების და მოვლის საშუალებები და არც გამოცდილება მისი შემუშავებისათვის. აქედან გამომდინარე, როდესაც აუცილებელი გახდა დამოუკიდებელი ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი ენერგეტიკის განვითარების ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, წარმოიშვა მნიშვნელოვანი სიძნელეები, რომელთა შორის აღსანიშნავია: არასწორად დაბალანსებული ენერგოსისტემა; მძიმე პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა; გაუმართლებელი ადმინისტრაციული გადანაწილებების მიღება; ენერგოსისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კავშირების მკვეთრი განწყვეტა; აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა სპეციალისტებს შორის და ა.შ. ენერგეტიკის მთელი პრობლემები დაიანგა იღ. ენერგეტიკის, ელექტროენერჯის გამოიმუშა-

ვება კი ძირითადად წარმოებდა ერთ მძლავრ თბოელექტროსადგურზე (50%), ხოლო დანარჩენი — მიდროელექტროსადგურებზე. არც ერთი სხვა სახის ენერგეტიკული წყარო არ გამოიყენებოდა ელექტროენერჯის წარმოებისათვის.

ენერგეტიკის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია არსებული მდგომარეობის კიდევ ერთხელ ობიექტურად გაანალიზება და ქვეყნის შიგნით არსებული ენერგორესურსების მარაგების შეფასება.

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ განხილულია საქართველოს ენერგორესურსები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა.

ნახშირის რესურსები, მისი მოპოვების დინამიკა და ლაბის ეფექტურობა

სპეციალისტების აზრით ნახშირის პროგნოზული მარაგი საქართველოში აღემატება 700 მლნ ტონას. აქედან ტყიბული-შაორის საბადოს სამრეწველო მარაგი აღემატება 250 მლნ ტონას, ახალციხის მურა ნახშირისა — 70 მლნ ტონას, ხოლო ტყვარჩელის 20 მლნ ტონას.

საქართველოში ძვანახშირის მოპოვება სამოციანი წლებიდან დაიწყო 3 მილიონი ტონიდან 28 ათას ტონამდე შემცირდა.

სამოციანი წლების დასაწყისში საქართველოს მასშტაბში ყოველწლიურად მოიპოვებოდა დაახლოებით 3 მლნ ტონა ნახშირი, მაგრამ შემდგომ, როდესაც პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა ნავთობსა და აირს, მოპოვების დონე თანდათანობით შემცირდა და მი-იან წლებში შეადგინა დაახლოებით 1,5 მლნ ტონა წელიწადში. 1990 წლიდან კი, ცნობილი მიზეზების გამო, ნახშირის მოპოვებას დოზე კატასტროფულად დაეცა და 1996 წელს შეადგინა მხოლოდ 28 ათასი ტონა (ცხრ. N1).

ცხრილი N1

ნახშირის მოპოვების დინამიკა

	1970	1975	1980	1985	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996
ტყიბ.-შაორი	1243	1240	1212	1180	665			82,2	45,0	30,0	28,0
ტყვარჩელი	95	1759	598	969	290						
აიალციხე	108	51	50	25							
სულ	2298	2050	1860	1674	955	697	108,5	82,2	45,0	30,0	28,0

ამჟამად, ნახშირის მრეწველობაში მეტად მძიმე მდგომარეობაა, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ განწყვეტილია კავშირები რუსეთთან, უკრაინასთან და სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და ორგანიზაციებთან, საიდანაც შემოდის მუქანიზმები, სათადარიგო ნაწილები და მონეობილობები.

საქართველოში ნახშირის მრეწველობის აღდგენისა და მისი კომპლექსურად გამოყენების სახელმწიფო

პროგრამის შემუშავება, რომელიც გათვალისწინებული იქნება რეგორც ეკონომიკური, აგრეთვე სოციალური, პოლიტიკური და ეკოლოგიური საკითხები, დარგის აღორძინების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია.

ნახშირის მრეწველობაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1995 წლის 15 ოქტომბერს გამოიცა სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება N 429, რომელიც გულისხმობდა შახტებისა და შემსაბამისი ხანარმოების ამოქმედების ხელშეწყობას და განვითარებას. მიუხედავად ამ დადგენილებისა, დარგის მდგომარეობა მეტად მძიმეა, რაზეც მეტყველებს შემდეგი მონაცემი. 1998 წლის იანვრის პირველ დეკადაში არ მომხდარა ნახშირის არაერთი მოპოვება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირის მრეწველობის აღდგენა და მისი შემდგომი ეფექტურად და რაციონალურად გამოყენება ურთულესი საკითხია, რომელიც მოითხოვს მძლავრ ფინანსურ ბაზას, ინტელექტუალურ და ფიზიკურ შრომას.

ჩვენი აზრით, აუცილებელია შემუშავდეს საქართველოში ნახშირის მრეწველობის აღდგენისა და მისი კომპლექსურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც ეკონომიკური, აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური საკითხები. სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი კვლევითი სამუშაოები, რომლებიც შეისწავლიან ან დაადგენენ ნახშირის მოპოვებისა და გამოყენების თანამედროვე მოთხოვნილებებს და ტექნოლოგიებს.

ნახშირის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია წარმოადგენს უმთავრეს და აუცილებელ ამოცანას, რომელიც ცხადია ვადაწყვეტილი უნდა იქნას მოპოვებული ნახშირის და მისი თანამდევ მიწერა-ლური კომპონენტების კომპლექსური გადამუშავების და გამოყენების საფუძველზე.

საქმეს ართულებს ისიც, რომ პურსაქვეტიული მიმართულებების დადგენისათვის აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომა ცალკეული საბადოებისათვის, შესაბამისად მოპოვებული ნახშირების კომპლექსური გამოყენების მიმართულებებიც იქნება სხვადასხვა.

ამ მიმართულებით საქართველოში ჩატარებულია გარკვეული მეცნიერული კვლევები და მიღებულია რიგი შედეგებიც. საქართველოს აკადემიის არაორგანიზებული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სპეციალისტების აზრით, ტყიბულის აუზის ნახშირების გამოყენების ძირითად და პურსაქვეტიულ მიმართულებებად მიჩნეულია: გაკეთილშობილებული მყარი სათბობის წარმოება, ადგილზე თბოელექტროსადგურებში გამოყენება ელექტროენერჯის მისაღებად, სინთეტიკური სათბობის მიღება, სადგურში წვის შედეგად მიღებული ნარჩენების გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის და ა.შ. ყველა ამ მიმართულებით ჩატარებულია შესაბამისი კვლევები და მიღებულია სანყიხი და საინტერესო შედეგები. მაგალითად, ტყიბულის შახტების ნარჩენების გამოყენება ასფალტო-ბეტონის წარმოებაში.

რაც შეეხება ახალციხის მურა ნახშირის საბადოს ათვისებას და მის გამოყენებას, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევები ტარდებოდა ეპიზოდურად (ფინანსების უქონლობის გამო), რის გამოც ამ სამუშაოებიდან მიღებულ შედეგებს დღეისათვის პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნიათ. მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დადგება საბადოს პრაქტიკულად ამოქმედების საკითხი, გათვალისწინებული უნდა იყოს ნინასნარი კვლევები მათი ტექნოლოგიური შესაძლებლობების დასადგენად. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ვერ კიდევ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ახალციხის ნახშირები მათი უზენაესრიანობის გამო უპურსაქვეტივოა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად უკვე ცნობილია ნაცროანობის დაწვევის მეთოდები გამდიდრების პროცესების გარეშე და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თვით მინერალური ნაწილი განხილულ უნდა იქნას როგორც ნედლეული, რომლიდანაც შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა სასარგებლო პროდუქტი.

დანერვილებითი ინფორმაცია საქართველოს ნახშირის რესურსებზე და მათ მახასიათებლებზე მოცემულია I და II დანართებში.

ნავთობისა და გუნებრივი აირის რესურსები

სამოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის საქართველოში აღმოჩენილი იყო შეიდი მცირე დებიტიანი საბადო, რომელთა საერთო ამოსაღები სანყისი მარაგი შეადგენდა მხოლოდ 2 მილიონ ტონას. ამ დროისათვის საქართველოში წელიწადში მოიპოვებოდა მხოლოდ 30 ათასი ტონა ნავთობი. ამ დროისათვის საქართველო მოიხმარდა ძირითადად იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებს (3 მილიონი ტონა). მონაცემები საქართველოში იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე მოცემულია III დანართში). ბოლო წლებში კერძო სექტორის მიერ იმპორტირებული ნავთობპროდუქტების ზუსტი რაოდენობა დაუდგენელია.

1974 წელს თბილისის მიმდებარე რაიონში მანამდე უცნობი საბადოს აღმოჩენამ სწრაფად გაზარდა ნავთობის მოპოვება, რომელმაც 1980 წელს 3 მილიონ ტონას გადააჭარბა. სამწუხაროდ ძალიან სწრაფად, კერძოდ 1984 წლიდან, მოპოვება მკვეთრად შემცირდა, რაც მარაგების ამონურვასთან იყო დაკავშირებული. შემდეგ, 1994 წლამდე ნავთობის მოპოვება საქართველოში წელიწადში საშუალოდ 180 ათას ტონას უტოლდებოდა, რაც შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა და 1993 წელს მხოლოდ 90 ათასი ტონა შეადგინა.

1994-96 წლებში და 1997 წლის პირველ ნახევარში საქართველოში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა მოცემულია ცხრილ N2-ში. დეპარტამენტი "საქნავთობის" მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე 1994 წლამდე მოპოვებულია დაახლოებით 26 მლნ ტონა ნავთობი, ხოლო დარჩენილი სამრეწველო მარაგები შეადგენს მხოლოდ 12 მლნ ტონას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ნინასნარ შეფასებული მარაგები, რომელთა გადაყვანა სამრეწველო მარაგებში მოითხოვს გარკვეული ბურღვითი სამუშაოების ჩატარებას, შეფასებულია 20 მლნ ტონის ოდენობით.

ნავთობის მოპოვების დინამიკა 1994-96 წლებში
და 1997 წლის პირველ ნახევარში (საბადოების მიხედვით, ტონაჟით)

	1994	1995	1996	1997 (6 თვე)
მირზანის	294	338	360	150.6
ნორიო	24.5	462	530	85
სუფსა	207	452	407	
შრომისუბანი	896	827.6	947	703.6
ტარიბანი	576	512	200	212.4
თელეთი	301.5	160	1035	1568
სამგორის სამხრეთ				
გუმბათი	331	366	6208	3687
რუსთავი	176	—	—	—
	(კონდენსატი)			
კრწანისი	—	—	2802	1714.6
სამგორი	10138	9900.3	23049	
პატარძელის	18942.5	9854	24212.7	18525.4
ნისიწმინდა	25120	19420	68109.8	4503.9
სულ	56810.5	42291.9	127860.5	31150.5

არსებობს აგრეთვე დამატებითი პერსპექტიული ტერიტორიები, რომელთა უმრავლესობა ბურღვაში არ იმყოფება და რომელთა რესურსები შეფასებულია დაახლოებით 60 მლნ ტონით. აუცილებელია აღინიშნოს აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობის პროგნოზული მარაგების რაოდენობა, რომელიც შეფასებულია სხვადასხვა რეგიონების გეოლოგიური ავტობუსების მიხედვით და რომელიც შეადგენს დაახლოებით 460 მლნ ტონას. ამრიგად, ნავთობის საწყისი ფაქტური რესურსი შეიძლება შეფასებული იქნას დაახლოებით 550 მლნ ტონის რაოდენობით.

ბუნებრივი აირი

რაც შეეხება ბუნებრივი აირის მოპოვებას და მის რესურსებს საქართველოში, აქ შემდეგი სურათია: 80-იანი წლების ბოლოს ბუნებრივი აირის მოპოვებამ საქართველოში შეადგინა 0,3 მლრდ მ³, მაშინ როდესაც 1989 წელს საქართველომ მოიხმარა 6 მლრდ მ³ იმპორტირებული ბუნებრივი აირი, 1996 წლის მონაცემებით ბუნებრივი აირის დარჩენილი სამრეწველო მარაგი 2,5 მლრდ მ³-ით განისაზღვრება. რაც შეეხება ნისასნარ შეფასებულ მარაგებს, იგი განისაზღვრება კიდევ დამატებით 2,5 მლრდ მ³-ით. ბუნებრივი აირის პროგნოზული მარაგები საქართველოში განისაზღვრება 90 მლრდ მ³-ით.

საქართველოში ნავთობისა და გაზის რეალური ათვისება პოტენციური შესაძლებლობის 6.6% და 2.9%-ს შაღვანს.

ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების პოტენციური შესაძლებლობა წელიწადში (1996 წლის მონაცემებით) 180 000 ტონა ნავთობით და 45 მლნ მ³ აირით განისაზღვრებოდა, რაც სრული შესაძლებლობების ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს: ნავთობისათვის დაახლოებით 6.6%-ს, ხოლო ბუნებრივი აირისათვის — 2.9%-ს. ნედლეულის ათვისების ასეთი დაბალი ხარისხი მიუთითებს დარგის განვითარების აუცილებლობაზე. სამწუხაროდ ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოების ათვისება მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებს და ამიტომაც დარგის შემდგომი პერსპექტივები ძირითადად დამოკიდებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან.

ამჟამად უკვე შექმნილია რიგი ერთობლივი საწარმოებისა, რომლებიც უკვე შეუდგენს მუშაობას. ამ საქმიანობის დადებითად დამთავრების შემთხვევაში ძირითად ამოცანას წარმოადგენს მიღებული ნედლეულის ეფექტურად და მოშებთანად გამოყენება და არა განიავება, როგორც ეს უახლოეს წარსულში ხდებოდა.

საქართველოში მოპოვებული ნავთობი გადაუშავების გარეშე გადის მთლიანად საზღვარგარეთ, რითაც ძვეყანა კარგავს მნიშვნელოვან შემოსავალს.

დღეისათვის საქართველოში მოპოვებული ნავთობი გადაუშავების გარეშე გადის მთლიანად საზღვარგარეთ, რითაც ჩვენი აზრით ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან შემოსავალს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიეცაჩნია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების რაც შეიძლება სწრაფად ამოქმედება.

ჰიდროენერგეტიკული რესურსები და მათი გააოყენების პლანპროექტი

საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების სრული პოტენციალი შეადგენს 159.4 მლრდ კვტს-ს წელიწადში. დიდი მდინარეების (რიონი, ენგური, მტკვარი, კოდორი, ბზიფი) წილი შეადგენს 50%-ს, საშუალო — 35%-ს, ხოლო მცირე მდინარეებისა დაახლოებით 15%-ია. დიდი და საშუალო მდინარეების ტექნიკური პოტენციალი შეადგენს 81 მლრდ კვტს-ს წელიწადში და აქედან 73% მოდის დასავლეთ საქართველოზე. მცირე მდინარეების ტექნიკური პოტენციალი შეადგენს 7.5 მლრდ კვტს-ს წელიწადში. საქართველოს მდინარეების ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეკონომიკურად

ეფექტური პოტენციალი შეადგენს 32 მლრდ კვტსთ-ს ანუ ტექნიკური პოტენციალის დაახლოებით 34%-ს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურად ეფექტური პოტენციალი განსაზღვრული იყო 1970 წლის მდგომარეობის მიხედვით და ცხადია დღეისათვის ეს ციფრი (32 მლრდ კვტსთ) მოითხოვს დაზუსტებას, რადგანაც საბოლოო ფასების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ამ სიდიდის მნიშვნელოვანი ცვლილება. 1990 წლის დასაწყისისათვის საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებზე ინარმოებოდა დაახლოებით 8 მლრდ კვტსთ ელექტროენერგია, ანუ ეკონომიკურად ეფექტური პოტენციალის დაახლოებით 25%. სამწუხაროდ შემდგომ წლებში ელ. ენერჯის ნარმოება ჰიდროელექტროსადგურებზე შემცირდა თითქმის ორჯერ, რაც გამოწვეული იყო მონოპოლიზა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლით. ცხრილ N3-ში მოცემულია საქართველოს მდინარეების ტექნიკური და ეკონომიკურად ეფექტური პო-

საქართველოში საშუალო მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 5.5%-ია ათვისებული.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მცირე ჰესებს, მათი ტექნიკური მონაცემების (ცხრილი 4) ანალიზი იძლევა შემდეგ სურათს:

1. უმეტესი ნაწილი აგებულია 40-იან და 50-იან წლებში და მონოპოლიზა-დანადგარები დაქველავებულია;
2. დადგმული სიმძლავრე შეადგენს მხოლოდ 47 მგვტ-ს;
3. საპროექტო წლიური გამოშვება შეადგენს დაახლოებით 245 მლნ კვტსთ-ს, რეალური გამოშვება კი უტოლდება დაახლოებით 8.2 მლნ კვტსთ-ს, საპროექტო გამოშვების მხოლოდ 32%;
4. ამჟამად მოქმედი ჰესების დიდი ნაწილი პრივატიზებულია. სპეციალისტების შეფასებით საქართველოში შესაძლებელია აგებული იქნას 200-მდე მცირე

ცხრილი 3

მდინარის აუზის დასახელება	ტექნიკური და ეკ. ეფექტური პოტენციალი მლრდ/კვტსთ წელ.	ათვისებული მლრდ/კვტსთ წელ.	ათვისების წილი %
რიონი	190.9/7.0	2.11	11/30
ენგური	13.4/10.0	5.12	38/51.8
მტკვარი	11.6/2.2	1.47	13/66.8
კოდორი	9.5/5.3	—	—
ბზიფი	4.7/1.5	—	—
ჯამი	58.2/26.0	8.70	33.5
დანარჩენი მდინარეები	22.8/6.0	0.33	5.5
მცირე მდინარეები	7.5/1.5	0.3	20

ტენციალი და მათი გამოყენების მდგომარეობა.

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

საქართველოს სამი (რიონი, ენგური, მტკვარი) ძირითადი წყალუხვი მდინარით ეკონომიკურად ეფექტური პოტენციალის საკმაოდ დიდი ნაწილია ათვისებული (45.3%). რაც შეეხება საშუალო და მცირე მდინარეებს, აქ სურათი განსხვავებულია და ეს ვასაგებიცაა, რადგანაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა არ ითვალისწინებდა მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარებას და შესაბამისად ფინანსირებაც არ არსებობდა.

ცხრილ N3-დან ნათლად ჩანს, რომ ამ მხრივ საქართველოში მნიშვნელოვანი რეზერვაა. კერძოდ, საშუალო მდინარეების პოტენციალის მხოლოდ 5,5%-ია ათვისებული.

რე ჰესი, რომლებიც მოამარაგებენ ელ. ენერჯით მთიან და ელ. ენერჯის ძირითადი გადამცემი ხაზებიდან დიდი მანძილით დაცილებულ რეგიონებს.

თუ გადავხედავთ საქართველოში არსებული მცირე ჰესების მონაცემებს (ცხრილი N4), მივიღებთ შემდეგ სურათს:

მათი საერთო დადგმული სიმძლავრე შეადგენს დაახლოებით 37 მგვტ-ს, ხოლო საშუალო წლიური გამოშვება დაახლოებით 8 მლნ კვტსთ-ს. ამ ციფრებიდან გამომდინარეობს, რომ მცირე ჰესებზე დადგმული სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი შეადგენს დაახლოებით 21%-ს, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

საპარტოვო არსებული მცირე ჰიდროელექტროსადგურების ძირითადი მონაცემები

N	დასახელება და მდინარე	გაშენების წელი და ქვის ტიპი	დადგმული სიმძლავრე მგვტ	ელ. ენერჯის საპროექტო და ხამ. წლიური გამორუშვება მდნ. კვტსთ	ქვის მდგომარეობა და მდგომარეობა
1	აჭიქესი	1958 წ.			მუშაობს
2	აჭარის წყალი ქობულაძისი	სეზონური 1954 წ.	1.000	8.0/2.0	არ არის პრივატიზებული მუშაობს
3	ქობულაძისი ვახტანგისი	სეზონური 1956 წ.	0.74	4.0/1.9	არ არის პრივატიზებული მუშაობს
	ვახტანგისი	სეზონური	1.43	9.0/1.7	არ არის პრივატიზებული
4	ვახტანგისი	1951 წ.			მუშაობს
5	ვახტანგისი	სეზონური	0.28	1.6/0.25	არ არის პრივატიზებული
6	ვახტანგისი	1972 წ.	0.5	2.0/0.2	მუშაობს ერთი ფრეკაში
7	ვახტანგისი	სეზონური			არ არის პრივატიზებული
8	ვახტანგისი	1967 წ.	6.0	31.0/11.0	მუშაობს
9	ვახტანგისი	სეზონური			პრივატიზებულია
10	ვახტანგისი	1967 წ.	5.35	25.0/*	პრივატიზებულია
11	ვახტანგისი	1942 წ.	4.8	20.0/5.85	მუშაობს
12	ვახტანგისი	სეზონური			პრივატიზებულია
13	ვახტანგისი	1953 წ.			მუშაობს
14	ვახტანგისი	სეზონური	3.0	15.0/4.37	პრივატიზებულია
15	ვახტანგისი	1951 წ.	3.0	14.0/1.59	პრივატიზებულია
16	ვახტანგისი	1964 წ.	2.75	13.0/3.82	პრივატიზებულია
17	ვახტანგისი	1928 წ.	1.75	11.0/5.81	პრივატიზებულია
18	ვახტანგისი	სეზონური			
19	ვახტანგისი	1953 წ.			
20	ვახტანგისი	სეზონური	1.7	11.0/2.43	პრივატიზებულია
21	ვახტანგისი	1953 წ.	1.5	9.0/3.7	პრივატიზებულია
22	ვახტანგისი	სეზონური			
23	ვახტანგისი	1936 წ.			
24	ვახტანგისი	სეზონური	1.26	9.0/4.22	პრივატიზებულია
25	ვახტანგისი	1957 წ.	2.08	12.0/*	პრივატიზებულია
26	ვახტანგისი	სეზონური			
27	ვახტანგისი	1951 წ.	0.44	3.0/*	პრივატიზებულია
28	ვახტანგისი	სეზონური			
29	ვახტანგისი	1950 წ.	0.28	2.0/0.38	პრივატიზებულია
30	ვახტანგისი	სეზონური			
31	ვახტანგისი	1935 წ.	0.4	3.0/0.72	პრივატიზებულია
32	ვახტანგისი	სეზონური			
33	ვახტანგისი	1963 წ.	0.17	1.0/0.32	
34	ვახტანგისი	სეზონური			
35	ვახტანგისი	1950 წ.	1.6	11.0/8.0	
36	ვახტანგისი	სეზონური			
37	ვახტანგისი	1949 წ.	0.38	2.0/0.9	
38	ვახტანგისი	სეზონური			
39	ვახტანგისი	1938 წ.	0.8	4.0/2.0	
40	ვახტანგისი	სეზონური			
41	ვახტანგისი	1949 წ.	0.98	5.0/2.3	
42	ვახტანგისი	სეზონური			
43	ვახტანგისი	1956 წ.	0.5	2.0/0.3	
44	ვახტანგისი	სეზონური			
45	ვახტანგისი	1952 წ.	2.1	12.0/2.4	
46	ვახტანგისი	სეზონური			
47	ვახტანგისი	1941 წ.	0.98	3.0/1.3	არ მუშაობს 1989 წლიდან
48	ვახტანგისი	სეზონური			
49	ვახტანგისი	1937 წ.	0.05	1.0/0.25	
50	ვახტანგისი	სეზონური			
51	ვახტანგისი	1947 წ.	0.2	1.0/0.9	არ მუშაობს 1991 წლიდან
52	ვახტანგისი	სეზონური			
53	ვახტანგისი		247 მგვტ.		

ჰიდროენერგორესურსების გამოყენების პრინციპები და ღონისძიებები მათი რეალიზაციისათვის

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბოლო წლებში ჰიდროელექტროსადგურებზე გამოიშუშებული ელექტროენერჯის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ძირითადად გამოწვეულია მოწყობილობა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლით. სპეციალისტების გამოანგარიშებით არსებული ჰიდროელექტროსადგურების აღრინდელ დონემდე რეაბილიტაცია საშუალებას მისცემს სისტემას დამატებით გამოიშუშოს 2 მლრდ კვტსთ ელექტროენერჯია (1996 წელს სისტემამ მთლიანად გამოიშუშა 7.2 მლრდ კვტსთ).

არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია სისტემას დამატებით 2 მლრდ კვტსთ ელექტროენერჯის გამოშვების საშუალებას მისცემს.

სპეციალისტების შეფასებით არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისათვის აუცილებელია დაახლოებით 300 მილიონი ამერიკული დოლარის ექვივალენტური ფინანსირება. რადგანაც საქართველოს დღევანდელ პირობებში არა აქვს საშუალება დააფინანსოს ეს ღონისძიება, აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც თავის მხრივ, მოითხოვს ამ საკითხის საინვესტიციო მომზადებას.

პირველ რიგში აუცილებელია ტექნიკო-ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო გეგმის და მისი განხორციელების თანამდებრული პროგრამის შემუშავება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი გეგმა (დამტკიცებული) არ არსებობს და აქედან გამომდინარე ძნელდება პოტენციურ ინვესტირებთან ურთიერთობა.

რეაბილიტაციის საშუალებათა ერთად დაწყებულ უნდა იქნას სამუშაოები, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკურად ეფექტური ჰიდროენერგორესურსების დარჩენილი ნაწილის თანდათანობით ათვისებისკენ (დაახლოებით 23 მლრდ კვტსთწელიწადში).

რაც შეეხება ჰიდროენერგორესურსების ეკონომიკურად ეფექტური პოტენციალის დარჩენილი ნაწილის შემდგომ ათვისებას, ამისათვის პირველ რიგში აუცილებლად მიგვაჩნია დაზუსტებული იქნეს ეკონომიკურად ეფექტური პოტენციალი.

დღეისათვის არ არსებობს საქართველოს ჰიდროენერგორესურსების გამოყენების ერთიანი სახელმწიფო კონცეფცია და მათი ათვისების სახელმწიფო პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროენერგორესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ჩატარებულია დიდი რაოდენობის კვლევები, დღეისათვის არ არსებობს საქართველოს ჰიდროენერგორესურსების გამოყენების ერთიანი კონცეფცია და ცხადია არ არსებობს ჰიდროენერგორესურსების ათვისების სახელმწიფო პროგრამა.

ექსპლარემია ის აზრი, რომ ჰიდროენერგეტიკა უნდა იყოს საქართველოს ენერჯის სისტემის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება და რომ მას უნდა მიენიჭოს ერთ-ერთი პრიორიტეტი საქართველოს

ენერგეტიკის აღორძინების დროს.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ჰიდროენერგორესურსების გამოყენების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. ცხადია, რომ ეს პროგრამა სრულ თანხმობაში უნდა იყოს ენერგეტიკულ პოლიტიკასთან და ის უნდა ითვალისწინებდეს ყველა თანამედროვე მოთხოვნილებას (პოლიტიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა).

დანვრილებითი ინფორმაცია საქართველოს მდინარეების შესახებ შეიძლება მოძებნილ იქნას სპეციალურ ლიტერატურაში [1, 2, 3].

მზის გამოსხივება

საქართველოს ტერიტორიაზე (70 ათასი კვ.კმ) მოსაძინებელი მზის გამოსხივების ენერჯია შეადგენს -10¹⁴ კვტსთ-ს წელიწადში, რაც ენერჯის დღევანდელ მოთხოვნილებას აღემატება -2000-ჯერ. მზის ენერჯიის დღევანდელი მოძინება საქართველოს ცალკეული რეგიონებისათვის მოცემულია რუქა N1-ზე. როგორც ამ რუქიდან ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე არის 5 განსხვავებული ზონა, რომელთა მახასიათებლები ასახულია რუქაზე მოცემულ ცხრილში.

სპეციალისტების შეფასებითა ზონებისათვის, რომლებისთვისაც მზის ნათების ხანგრძლივობა მეტია ან უახლოვდება 2000 სთ-ს წელიწადში (ზონა A და B) ეკონომიკურად გამართლებულია მზის ენერჯიის გარდამქმნელი თითქმის ყველანაირი სისტემის გამოყენება. ზევრ შემთხვევაში გამართლებულია ფოტოელექტრული გარდამქმნელების პრინციპზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობაც (კი, რომელიც ჯერჯერობით თავისი ტექნოლოგიური სირთულეების გამო ძვირადღირებული სისტემებია.

ზონები, რომელთა მახასიათებლები შეესაბამება ზონა C-ს, იძლევიან პელიოდანადგარების სტაბილური მუშაობის საშუალებას. ამ ზონებში ეკონომიკურად გამართლებულია თბური პელიოდანადგარების გავრცელება (გათბობა, ცხელწყალმომსახურება, შრობა და ა.შ.).

როგორც რუქა N1-დან ჩანს, საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მიეკუთვნება იმ ზონებს, რომლებშიც ეკონომიკურად გამართლებულია მზის გამოსხივების ენერჯიის გამოყენება. მიუხედავად ასეთი პირობებისა, მზის ენერჯია საქართველოში უმნიშვნელოდ გამოიყენება. 80-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოში დამონტაჟებული იყო -60 ათასი მ 2 საერთო ფართის მქონე თბური კოლექტორები ცხელწყალმომსახურების მიზნით. შემდგომში ეს ციფრი აღარ გაზრდილა და დღეისათვის მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზების გამო აღარ ფუნქციონირებს.

საქართველოში მზის ენერჯიის გამოყენება სისტემების ფართოდ დანერგვა რომორც აკონომიკური, ასევე გარემოსდაცვითი თვალსაზრისითაა გამართლებული.

წინა წლებში (საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში) მზის ენერჯიის გამოყენებული სისტემების

გავრცელებას ამუხრუჭებდა ორგანულ სათბობზე დაბალი ფასები. დღევანდელ პირობებში, როდესაც სათბობზე ფასები გაუთანაბრდა საერთაშორისო ფასებს და დღითი-დღე მკაცრდება გარემოს დაცვითი ღონისძიებები, აუცილებელი ხდება მზის ენერჯის გამოყენებელი სისტემების ფართო მასშტაბით გავრცელება.

საქართველოში 1 მ² ფართის მქონე მზის თბურ კოლექტორს შეუქმნია წლის განმავლობაში დაზოგოს 150-200 კვ.ა. სათბობი.

პრაქტიკაში მათი დანერგვისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ღირებულება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საიმედოობა და ექსპლუატაციის სიმარტივე. როგორც პრაქტიკაში დაგვიანა, საქართველოს პირობებში, 1 მ² ფართის მქონე მზის თბურ კოლექტორს შეუძლია წლის განმავლობაში დაზოგოს 150-200 კვ.ა. სათბობი. მარტივი გაანგარიშებით შეიძლება დავადგინოთ, რომ წავითის, თხევადი აირისა და ბუნებრივი აირის დღევანდელი გასაყიდი ფასების პირობებში, მზის თბური კოლექტორების თვისგამოსყიდვის ვადა იქნება 4, 2 და 10 წელი შესაბამისად (1 მ² ფართის მქონე კოლექტორის ფასი დამსმარე მოწყობილობებით მერყევობს 250-300 აშშ დოლარის ფარგლებში).

რაც შეეხება მზის ელექტროსადგურებს (თერმოდინამიკური ციკლის თუ ფოტოელექტრული გარდაქმნელების საშუალებით), მათი ღირებულება ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია. 1 კვტ დადგმული სიმძლავრის ღირებულება საშუალოდ 5 ათას აშშ დოლარს აღწევს.

თერმოდინამიკული ციკლით მომუშავე მზის ელექტროსადგურებში, მიუხედავად თავდაპირველი იმედისმოცემი სადემონსტრაციო დანადგარების აგებისა, ვერ შპოვებს ფართო გავრცელება და ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა ფოტოელექტრული გარდაქმნელების ბაზაზე დაფუძნებული სადგურების მშენებლობაზე. ამგვარად აშშ-ში, იაპონიაში და იტალიაში დამთავრების სტადიაშია - 1 მგვტ სიმძლავრის მზის ფოტოელექტროსადგურები.

ამ მიმართულებით მსოფლიოში და საქართველოშიც მიმდინარეობს მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევები, რომლებიც ძირითადად მიმართულია ტექნოლოგიების დახვეწაზე და შესაბამისად ღირებულების შემცირებაზე. ფოტოელემენტების მრეწველობა მსოფლიოში 1994 წელს შეადგენდა 60 მგვტს და ყოველწლიურად იზრდება 10%-ით. 1995 წელთან შედარებით ფასები შემცირდა დაახლოებით 10-ჯერ, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მზის ენერჯის გამოყენებელი ე.წ. პასიური სისტემები, ისინი ძირითადად გამოიყენება მშენებლობაში და არქიტექტურაში. როგორც ცნობილია, მზისგან გათბობაზე თუ მის კონდიცირებაზე (კომფორტული პირობების შექმნაზე) იხარჯება საკმაოდ დიდი ენერჯია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს მზის ენერჯის გამოყენებელი პასიური სისტემების საშუალებით.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების

გათვალისწინებით და შეფასებითი გაანგარიშებით, დადგენილია, რომ მზის ენერჯის გამოყენებით თბომომარაგების სისტემებში, შეიძლება დაზოგილი იქნას 800 ათასი ტ.პ. სათბობი (1 ტ.პ. სათბობის ფასი შეადგენს 50-70 აშშ დოლარს). ინფორმაცია მზის ენერჯის კომპლექსურ მახასიათებლებზე საქართველოს ტერიტორიისათვის და ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის მოცემულია IV და V დანართში.

ქარის ენერჯია

ქარის ენერჯიის პრაქტიკული ათვისება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მომავლისთვისაც დიდი პერსპექტივები ისახება (დანართი VI და VII). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ქარის ენერჯიის ათვისება დაიწყო ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ქარის დანადგარების წარმოების საკუთარი საშუალებები (ინდოეთი, პორტუგალია, ბრაზილია, მექსიკა, ახ. ზელანდია და სხვა). მნიშვნელოვანი გეგმები აქვთ ევროპის ქვეყნებს, სადაც 2000 წლისათვის ნავარაუდევია დადგმული სიმძლავრის გაზრდა დაახლოებით 1000 მგვტ-ით (1995 წლისათვის ევროპის ქვეყნებში ქარის ელ. სადგურების დადგმული სიმძლავრე შეადგენდა დაახლოებით 2000 მგვტ-ს).

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ქარის ელ. სადგურებზე მიღებული 1 კვტსთ ენერჯიის ღირებულება დაახლოებით ათ-ჯერ შემცირდა.

ენერგეტიკის ამ დარგის პროგრესისა და პერსპექტივების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი არის ის, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ქარის ელ. სადგურებზე მიღებული 1 კვტსთ-ის ენერჯიის ღირებულება შემცირდა 50 ცენტრიდან დაახლოებით 5 ცენტრამდე.

ქარის ენერჯიის გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს გააჩნია კარგი პერსპექტივები, რომლის არ გამოყენება მოცემულ პირობებში არ იქნებოდა გამართლებული. სატემ იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ენერგეტიკული და გარემოს დაცვის ორგანიზაციები ყოველმხრივ მხარს უჭერენ ქარის ენერგეტიკის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მზად არიან მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ ამ ქვეყნებს. ამასთან ერთად შექმნილია რიგი საეციალური ფონდებისა, რომლებიც ემსახურებიან იგივე მიზნებს.

მრავალწლიანი (1936 წლიდან) დაკვირვების მონაცემების ანალიზიდან დადგენილია რეგიონები და ის ტერიტორიები, სადაც მიზანშეწონილია და კარგი პერსპექტივებია ქარის ენერგეტიკის განვითარებისათვის. საქართველოს ტერიტორიის დარაიონების რუქა ქარის ენერგეტიკული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ნახ. 2-ზე, ხოლო დანართ VIII-ში მოცემულია ამ დანართების მიხედვით ქარის კომპლექსური ენერგეტიკული მახასიათებლები.

ქარის სრული ენერგეტიკული პოტენციალიდან (1300 მლრდ კვტსთ) ტექნიკურად გამოსაყენებელი ნაწილი შეადგენს მხოლოდ 0,3%-ს (4,5 მლრდ

კვლევით). რაც შეეხება ეკონომიკურად ეფექტურ პოტენციალს, ეს სიდიდე დადგენილი არ არის. დარგი განიცდის მნიშვნელოვან პროგრესს, რის გამოც ეს სიდიდე ყოველდღიურად იცვლება.

ქართული საეციალისტიკის მიერ დადგენილია ქარის ენერგეტიკის განვითარებისათვის ხელსაყრელი რეგიონები, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ლიხის ქედი (მთასაბუეთი) ცხრა-წყაროს შემოგარენი, მდ. ჭოროხის ხეობა (კაპანდიბი), ფოთის პორტის აკვატორია, რიონის ხეობა, სამგორი, შამისონის უღელტეხილი და ა.შ.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღეისათვის საქართველოს არ გააჩნია ქარის ენერგეტიკული დანადგარების წარმოების ტექნიკური საშუალებები და შეზღუდულია ფინანსური რესურსები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქარის ენერგეტიკის განვითარების მხარდამჭერ საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ფონდებთან თანამშრომლობის გაღრმავებას. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანასთან, რათა საქართველოში განსორციელებული იქნას ქარის პირველი საცდელი ელ. სადგურის მშენებლობა.

ბიომასის ენერჯია

- ბიომასის რესურსებში ძირითადად იგულისხმება:
 - მერქანი და მისი გადაამუშავების ნარჩენები;
 - სოფლის მეურნეობის მოსავლის ნარჩენები;
 - აგრონარმოებების (მელენიგობა, კონსერვის, შაქრის და სხვა ნარმოებები) ნარჩენები;
 - მცხოვრებლების და მეფრინველეობის ნარმოებების ნარჩენები;
 - კომუნალური ნარჩენები.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში არის ასეთი რესურსების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაგრამ სამწუხაროდ ისინი დეტალურად შეფასებული არ არის.

რაც შეეხება საქართველოს ტყეების (მერქნის) შესწავლას, აქ საქმე შედარებით უკეთესადაა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მერქნის საერთო მარაგი 1990 წლისათვის შეფასებული იყო 418.6 მლნ მ³-ის რაოდენობით. საშუალო წლიური ნაშატი ამ დროისათვის წარმოადგენდა 3.83 მლნ მ³-ს. ერთი ჰექტარი ტყის მასივის საშუალო წლიური ნაშატი შეადგენს 1.82 მ³-ს.

თუ გავაანალიზებთ, ტყით სარგებლობის დინამიკას, დავინახავთ, რომ 1965-1985 წლებში მერქნის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა 1,9 მლნ მ³-დან 0,43 მლნ მ³-მდე, რაც გამომწვეული იყო ადრინდელ წლებში გაუმართლებლად ინტენსიური ექსპლუატაციით. შემდეგი წლების დინამიკა, ძირითადად კი ბოლო 7-8 წლისა, არ არსებობს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა გაცილებით უფრო გაუარესებულია.

ჩვენი აზრით, ამ დარგში მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია სამუშაოების დაწყება და რაც შეიძლება სწრაფად. საქმე იმაშია, რომ ეკობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება მერქნის (შემა) გამოყენებას სათბობ-ენერგეტიკული მიზნებისათვის. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (ბრაზილია,

საფრანგეთი, შვედია, კანადა და ა.შ.) შემუშავებულია და წარმატებით ხორციელდება სპეციალური პროგრამები. იქმნება სპეციალური სწრაფად მზარდი ტყეების პლანტაციები და მუშავდება მისი პროდუქციის ეფექტურად გამოყენების ტექნოლოგიები.

რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა გამოიყურებოდეს, ჩვენი აზრით, მაინც საჭიროა საქართველოში ხის ნახშირის წარმოების საკითხის შესწავლა. ცნობილია, რომ მერქნიდან ხის ნახშირის წარმოების დროს შეიძლება მიღებული იქნას რიგი ძვირადღირებული ქიმიური ნაერთებისა. ამასთან ერთად ხის ნახშირის გამოყენებელი ლუშმელები თავისი ეფექტურობით დაახლოებით სამჯერ აღემატებიან შეშის ლუშმელებს და რაც მთავარია ისინი გაცილებით უფრო ნაკლებ ზარალს აყენებენ გარემოს.

თბილისის ნაგავსაყრელებიდან ყოველწლიურად შეიძლება მიღებულ იქნას 120 მლნ მ³ ბიოგაზი, რომელიც იქნება დაახლოებით 100 ათასი ტონა პირობითი სათბობის ექვივალენტი.

რაც შეეხება ბიომასის დანარჩენ რესურსებს, მათმა გამოყენებამაც შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები. ქ.თბილისის ნაგავსაყრელებზე ყოველწლიურად იყრება დაახლოებით 400 000 ტ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელთა გადაამუშავება დღეისათვის არ ხდება. სპეციალისტიკის შეფასებით, მისი გადაამუშავების შედეგად შეიძლება მიღებულ იქნას 120 მლნ მ³ ბიოგაზი, რომელიც იქნება დაახლოებით 100 ათასი ტონა პირობითი სათბობის ექვივალენტი. ვარდა ამისა, ნარჩენების გადაამუშავების შედეგად მიიღება ეკოლოგიურად სუფთა მინერალური სასუქი მეცხოველეობის ფერმებში და კერძო მეურნეობებში ერთი კილოგრამი ნაკელიდან შესაძლებელია მიღებულ იქნას დაახლოებით 0,3 მ³ ბიოგაზი და ეკოლოგიურად სუფთა სასუქი. სპეციალისტიკის შეფასებით, ადამიანის მოღვაწეობის შედეგად მიღებული ნარჩენებიდან (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ა.შ.) ეკონომიკურად გამართლებულია და შესაძლებელია მიღებული იქნეს იმ რაოდენობის ბიოგაზი, რომელიც შეცვლიდა მსოფლიოში მომხმარებელი ბუნებრივი აირის 12 %-ს.

ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (განვითარებულში თუ განვითარებადში) მოქმედებს მრავალი დიდი თუ პატარა ბიოდანადგარები ბიოგაზის მისაღებად. საფრანგეთში ასეთი დანადგარებიდან მიღებული ბიოგაზი ჩართულია ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელში. ინდოეთში მოქმედებს დაახლოებით 2 მილიონი მცირე მცირემწარმოებლობის ბიოდანადგარი და ა.შ.

საყურადღებოა და განხილვის ცალკე თემად შეიძლება გამოგყოს ბიომასიდან ეთილის და მეთილის სპირტების წარმოების საკითხი. დღეისათვის ეს მიმართულება აქტუალურია მსოფლიოს იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ ნავთობის საკუთარი მარაგები და აქვთ მწვანე ბიომასის მოპოვების კარგი კლიმატური საშუალებები. სპეციალისტიკის

შეფასებით საქართველოში შესაძლებელია მოსავლის ბიომასიდან ყოველწლიურად ვანარმოით 200 ათასი მ³ სპირტი.

უცხოელი ექსპერტების აზრით, საქართველოში ბიომასის ვადამრეწველების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ენერგომომარაგების გაუმჯობესებაში. მათივე აზრით, მიუხედავად ქართველი სპეციალისტების საკმაოდ კარგი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებისა, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

გეოთერმული ენერჯი

საქართველოს ტერიტორიის გეოთერმული შესწავლილობის თანამედროვე დონის შესაბამისად მის ნიაღში არსებული თერმული წლების პროგნოზული მარაგები თვითდენის პირობებში შეფასებულია 450 ათასი მ³ ოდენობით დღე-ღამეში (სრული მარაგები კი 650 ათასი მ³). (ნახ. N3) მათგან დღეისთვის გამოვლენილია და საექსპლოატაციო მარაგები სხვადასხვა სამრეწველო კატეგორიებით შეფასებულია დაახლოებით 62 ათასი მ³ დღე-ღამეში, ე.ი. საერთო მარაგების 14 %.

დღესდღეობით ათვისებად სპარტ-ველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი გეოთერმული რესურსების დაახლოებით 5-7%.

აღსანიშნავია, რომ გამოვლენილი თერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალი დაახლოებით 200 ათასი ტონა პირობითი სათბობის ექვივალენტურია: გამოვლენილი რესურსებიდან ათვისებულია დაახლოებით 5-7 %. საქართველოში არ იყო დანერგილი გეოთერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალის სრულყოფილი გამოყენების და რესურსების დაზოგვის ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორცაა უტილიზირებული წყლების საბადოში უკუჩაქანვა (რენეჟექცია).

საქართველოში თერმული წყლების გამოყენება შეიძლება იყო განანილებული (1990 წლის მონაცემები):

- სოფლის მეურნეობაში დაახლოებით 25%;
- მრეწველობაში დაახლოებით 15%;
- დანარჩენი კომუნალურ თბომომარაგებაზე;

დღეისათვის თერმული წყლების გამოყენებელი სისტემები ძირითადად ვაჭერებულია (ნაწილობრივ ფუნქციონირებს თბილისის საბადო).

ცნობილია, რომ საქართველოს თერმული წყლების ძირითადი ნაწილის მიწერაღიზაცია საკმაოდ დაბალია (0,4-2,2 გრ/ლ), მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგან ისინი შეიცავენ ქიმიურად აქტიურ ნივთიერებებს (SO₂, CO₂, Na, Ca, Mg), მათი სამრეწველო მოხმარებისას აუცილებელია წყლის გამწმენდი თანამედროვე მეთოდებისა და მოწყობილობების გამოყენება.

თერმული წყლებისაგან მიღებული სითბოს ღირებულება ტრადიციული სათბობის გაზაზე მიღებული სითბოს ღირებულებაზე დაახლოებით 5-ჯერ უფრო ნაკლებია.

სპეციალისტების შეფასებით თერმული წყლებისაგან მიღებული სითბოს ღირებულება (ყოველგვარი ხარჯების გათვალისწინებით) დაახლოებით 5-ჯერ უფრო იაფია ვიდრე ტრადიციული სათბობის გაზაზე მიღებული სითბოს ღირებულება. ეს ფასი კიდევ უფრო დაბალი იქნება უკვე დაძვირებული საბადოებისათვის, რომლებზედაც შესრულებულია ყველაზე ძვირადღირებული ბურღვითი სამუშაოები.

ასეთი საბადოებია კინდლა-მოქვი-ოზურგეთის, ზუგდიდი-ცაიშის, ხობის, ქვალონის, ვანის, სამტრედიისა და თბილისის საბადოები.

სამხრეთ საქართველოში შესრულებული მინერალური წყლების ძებნითი სამუშაოების ძირითადი შედეგების მიხედვით სპეციალისტების აზრით, აქ შესაძლებელია მაღალენერგეტიკული თერმული წყლებისა და წყალ-ორთქლოვანი ნარევის მიღება და მათ გაზაზე გეოთერმული ელ.სადგურის შექმნა.

საქართველოს გეოთერმული რესურსების ეფექტურად გამოყენების და სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში მისი როლის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს სამუშაოები შემდეგი მიმართულებებით:

— თბილისის და სხვა მსხვილი ქალაქების გათბობისა და ცხელ წყალმომარაგების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არსებული თერმული წყლების საბადოების ინტენსიფიკაციისა და ცირკულაციური სისტემების შექმნის გზით;

— საშუალოტემპერატურიანი მინისტქვემა წყლების რესურსების ათვისება (თბური ტუმბოს სისტემების საშუალებით) დასახლებული პუნქტების თბომომარაგების მიზნით;

— საბადოებზე რენეჟექციული სისტემების და გეოთერმული რესურსების ეკოლოგიურად უსაფრთხო გამოყენების ორგანიზაცია;

— საქართველოს მჭიდროდდასახლებულ და გეოთერმული თვალსაზრისით პერსპექტიულ რაიონებში თერმული წყლების ახალი საბადოების დაძებნა-გამოვლენა;

— სამხრეთ საქართველოში (როგორც ერთ-ერთ პერსპექტიულ რეგიონში) მაღალენერგეტიკული პოტენციალის მქონე თერმული წყლების საბადოების დაძებნა-გამოვლენა.

ცხადია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებას ჭირდება მთელი რიგი საკითხების პრაქტიკული შესწავლა და დაზუსტება და რაც ქველზე უფრო მთავარია, სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ფინანსური მხარდაჭერა.

პარადოქსია, მაგრამ ცნობილია, რომ ორგანიზაცია, რომლის ბალანსზეა დასავლეთ საქართველოს (ზუგდიდის რეგიონი, ცნობილი მიწებების გამო დღეს უმოქმედო) ჭაბურღილები, იხდის ქონების გადასახადს ქვეყნის ბიუჯეტში, აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

საქართველოს გეოთერმული წყლების აუზების მახასიათებლები მოცემულია IX დანართში.

დღეისათვის მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვარგარეთელ ინვესტორებთან სხვადასხვა გეოთერმული სისტემების აღდგენის თაობაზე.

ენერჯისა და ენერგოეკოლოგიის რესურსების უზრუნველყოფის გარანტიები

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამოცდაათიანი წლების ენერგეტიკულ კრიზისამდე მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ენერგეტიკის დარგი ფუნქციონირებდა ფლანგვით რეჟიმში. ენერგეტიკულმა კრიზისმა საზოგადოებას თვალნათლივ დაანახა ენერგეტიკული რესურსებისა და ენერჯის ეფექტურად გამოყენების აუცილებლობა. მომდევნო წლებში სპეციალისტების დიდი ყურადღება დაეთმო ამ მიმართულებას. პირველ რიგში შესწავლილ იქნა ენერჯის გამოყენების მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყნებში, რომელმაც ცხადად გამოამჟღავნა უზარმაზარი რეზერვის არსებობა. მაგალითად, ოსმანოვიანი წლების ბოლოს იაპონიაში ერთეულოვანი ნაციონალური პროდუქტის წარმოებაზე იხარჯებოდა ორჯერ უფრო მეტი ენერჯია ვიდრე საფრანგეთში, აშშ-ში — 2,5-ჯერ, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა კავშირში — 4,5-ჯერ უფრო მეტი. დღეისათვის იაპონია უკვე გაუთანაბრდა საფრანგეთს. მეფასებულია აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირის მეტალურგიული წარმოების გადაყვანა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაზოგავდა მთელ კავშირში არსებული ატომური სადგურების მიერ გამოიმუშავებული ენერჯის ექვივალენტურ რაოდენობას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში, როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ შემაღდგენელ ნაწილში, არსებობს საკმაოდ დიდი რეზერვი ენერჯის ეფექტურად გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით. ყველასათვის ცნობილია აგრეთვე, რომ ენერგოეფექტურობის ასამაღლებელი ღონისძიებების გატარება პრაქტიკაში და შესაბამისად ენერგეტიკული სიმძლავრეების გამოთავისუფლება მოითხოვს ვაცილებით ნაკლებ დანახარჯებს, ვიდრე ახალი სიმძლავრეების მწყობრში ჩაყენება. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. ესპანისის მასშტაბით 100 ათასი ენერგოეფექტური ნათურის პრაქტიკულად და გონიურულად დანერგვა, რომელიც მოითხოვს დაახლოებით 1 მლნ ამერიკული დოლარის ექვივალენტურ თანხას, გამოათავისუფლებს დაახლოებით 5 მგჯტ სიმძლავრეს. ცნობილია აგრეთვე, რომ 5 მგჯტ სიმძლავრის სადგურის მწყობრში ჩაყენებას სჭირდება დაახლოებით 5 მლნ ამერიკული დოლარის ექვივალენტური თანხა.

ენერჯისა და ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების საკითხები მრავლისმომცველია და იგი უნდა მოიცავდეს ისეთ დარგებს, როგორებიცაა: ენერჯის წარმოება; ენერჯის ტრანსპორტირება და ეკონომიკა; მრეწველობა; საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება; ტრანსპორტი და ა.შ.

ენერჯისა და ენერჯის ეფექტურად გამოყენების საკითხები უზუალოდ არის დაკავშირებული ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ენერჯისა და ენერჯის ეფექტურად გამოყენების საკითხები უზუალოდ არის დაკავშირებული ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია და განხორციელების სტადიაშია ენერგოეფექტურობის ამაღლების პროგრამები. მსოფლიო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ შემუშავებულია სპეციალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ მთელ რიგ საერთაშორისო ღონისძიებებს (დახმარებები ფინანსურ, ტექნიკურ და საინფორმაციო სფეროებში). ნაციონალური და საერთაშორისო პროგრამების ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს ისეთი კონსტრუქციების შექმნა, რომელიც სრულად შეუწყობს ხელს ენერგოეფექტურობის ამაღლებას.

დასკვნები

საქართველოს ვაანსია ნახშირის საკმაო მარაგი და დარგის მომავლის გასარკვევად აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგები საკმაოდ შეზღუდულია. აუცილებელია მოპოვებული ნედლეულის ეფექტურად გამოყენება. იმპორტირებული ნედლეულის რაოდენობის თანდათანობით შემცირების მიზნით აუცილებელია მრეწველობაში და სხვა დარგებში ეფექტურ ტექნოლოგიებზე გადასვლა;

შიდრონერგეტიკული რესურსების პოტენციალი მაღალია და იგი არასაკმარისად არის ათვისებული;

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა საშუალებას ინტენსიურად იქნეს გამოყენებული მზის, ქარის, გეოთერმული წყლების და ჰიომასის ენერჯიები;

მნიშვნელოვანი რეზერვია აგრეთვე ენერჯის ეფექტურად გამოყენების სფეროში;

ენერჯისა და ენერგორესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების მიზნით აუცილებელია შესაბამისი კანონის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება;

გამოყენებული ლიტერატურა

1. Природные Ресурсы Грузии и Проблемы их Рационального Исползования, Тбилиси "Мецნიერება", 1991 г.
2. Энергетические Ресурсы Грузии и Проблемы их Рационального Исползования, Тбилиси "Мецნიერება" 1992 г.
3. Г.Г. Сванидзе и др. Возобновляемые Энергоресурсы Грузии. Ленинград. Гидрометеоиздат 1987 г.
4. ენერჯია. თბილისი N1, N2, N3 1997 წ.

საპარტეზელოს ნახშირის რესურსები
(მილიონ ტონებში)

ღანართი I

